სულის აღმასვლა პლოტინის ონტოლოგიაში: სიქველე როგორც გზა და ეროსი როგორც საშუალება

იოანე ჯლანტიაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლუკა კუჭუხიძე, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებელად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

იოანე ჯლანტიაშვილი

20.06.26

მადლობა

გულწრფელი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ლუკა კუჭუხიძეს, შენიშვნებისა და რეკომენდაციებისთვის, რომლებიც წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომში იქნა გათვალისწინებული, რის შედეგადაც მან ერთიანი და ჩამოყალიბებული სახე მიიღო.

ასევე, მადლიერებას გამოვხატავ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრის აკადემიური პერსონალის მიმართ, სამაგისტრო საფეხურზე გაწეული სამეცნიერო შრომისთვის.

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევა წარმოადგენს სულის აღმასვლის პლოტინისეული პერსპექტივის რეკონსტრუქციის მცდელობას. იგი ორ ეტაპად არის დაყოფილი: პირველი ნაწილი აჩვენებს პლოტინის კავშირს პლატონთან. აქვე მტკიცდება, რომ სიქველის მეშვეობით სული ახერხებს ღმერთს მიემსგავსოს. ამ იდეის გასამყარებლად კვლევაში დამოწმებულია იმ ნეოპლატონიკოსთა (პორფირიოსი, იამბლიქოსი, პროკლე და დამასკიოსი) შრომები, რომლებიც პლოტინს ეყრდნობიან. მათი სიქველის თეორიის განხილვა მიზნად ისახავს ეთიკის წარმომავლობისა და იმ მეტაფიზიკური სტრუქტურების გამოკვეთას, რომლებიც ღმერთთან ასიმილაციის იდეას ემსახურებიან. აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობით ნაშრომში პასუხი ეცემა შემდეგ კითხვებს: პლატონის ,,ფედროსის“ მიხედვით, რა არის საჭირო სულის ,,ფრთების ზრდისა“ და გაძლიერებისათვის? აქვს თუ არა გონებას ან ‚ერთს’ სიქველეები? რა რჩება სულის განწმენდის შემდეგ და რა არის განწმენდილი სულის საზღვრები? რით არის გამოწვეული სიქველის სიმბოლოს არტიკულაციის საჭიროება იამბლიქოსთან?

ნაშრომის მეორე ნაწილი ეთმობა ეროსს, როგორც პლოტინის მეტაფიზიკური სტრუქტურის ფუნდამენტურ ასპექტს. აქ ეროსი განხილულია, როგორც სულის ერთიანობისა და მისტიკური გამოცდილების მთავარი საშუალება, რაც „სიკეთესთან“ დაბრუნებას ისახავს მიზნად. კვლევის ამ ეტაპზე დისკურსული ტრაექტორია მიმართულია ერთი მიზნისკენ: უნდა დამტკიცდეს, რომ სულის უკუქცევის პროცესში ეროსის როლი ფუნდამენტურია. ამ მიმართულებით პასუხი გაეცემა ისეთ კითხვებს, როგორიცაა: რა არის ეროსის აღძვრის მიზეზი? აქვს თუ არა ,,ერთს“ სიყვარული? ეროსი და სურვილი ერთია თუ სხვადასხვა? სულის აღმასვლისას ინარჩუნებს თუ არა ეროსი თავის ბუნებას? როგორ გამოიხატება სულის ღმერთთან ურთიერთობა?

აღნიშნულ კითხვებზე პასუხის გაცემით საშუალება გვეძლევა, გავერკვეთ პლოტინისეული სულის ამაღლების ორ ტიპში და საბოლოოდ დავინახოთ სათნოებისა და ეროსის ერთიანი და უწყვეტი კავშირის როლი და მნიშვნელობა სულის

განღმრთობისა და მისტიკური გამოცდილების პროცესში, რადგანაც ერთი მეორის გარეშე შეუძლებელია.

Abstract

The present study constitutes an attempt to reconstruct the Plotinian perspective on the ascent of the soul. It is divided into two phases: the first part demonstrates Plotinus' connection to Plato. It is further argued here that through virtue, the soul succeeds in assimilating itself to God. To substantiate this thesis, the study draws upon the works of those Neoplatonists (Porphyry, Iamblichus, Proclus, and Damascius) who rely upon Plotinus. The examination of their respective theories of virtue aims to elucidate the origin of ethics and those metaphysical structures that serve the concept of assimilation to God. By deliberating on these issues, the paper addresses the following inquiries: according to Plato's Phaedrus, what is required for the ,,growth'' and strengthening of the soul's ,,wings''? Do the Intellect (Nous) or ,the One' possess virtues? What remains after the purification of the soul, and what are the boundaries of the purified soul? What necessitates the articulation of the symbol of virtue in Iamblichus?

The second part of the work is dedicated to Eros as a fundamental aspect of Plotinus' metaphysical structure. Here, Eros is examined as the primary vehicle for the soul's unification and mystical experience, which aims at a return to ,the Good.' At this stage of the research, the discursive trajectory is directed toward a single objective: it must be demonstrated that the role of Eros is fundamental in the process of the soul's reversion. In this regard, answers will be provided to such questions as: What is the cause that arouses Eros? Does ,the One' possess love? Are Eros and desire identical or distinct? Does Eros retain its nature during the ascent of the soul? How is the soul's relationship with God expressed?

By answering these questions, we are enabled to comprehend the two types of the Plotinian elevation of the soul, and ultimately, to discern the role and significance of the unified and continuous connection between virtue and Eros.